№1/19/1145/ხ.ი.
26.11.2021წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნ კახი ბექაურს

წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებას "საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წეს"-თან დაკავშირებით.

1. ამ წესის მიღების მიზანში და ამოცანაში გარკვევით არის მითითებული, რომ წესი გამიყენა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამისად გაუმართლებელია და
ეწინააღმდეგება საჯარო კონსულტაციების გამართვის წესის გავრჩელება ელ-კომუნიკაციების შესახებ საქ. კანონის 27-ე მუხლის დადგენილ ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის მიმდინარეობა არ მოიაზრებს საჯარო წარმოების წესს, არამედ წარმოადგენს მარტივ ადმინისტრაიცულ წაროებას.
აღნიშნულ კანონის დანაწეს აქვს თავისი სამართლებრივი მიზნები, რაც არ შეიძლება შეცვლილ იქნას კომისიის დადგენილებით;

შესაბამისად, ამ წესისს მე-4 მუხლის ბ) და ე) პუნქტები ამოღებულ უნდა იქნას.

2. საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესის მიზანს ასევე წარმოადგენს ადმინიტრაციული ორგანოს შესაბამისი პასუხების მიღება, მაშნ როდესაც წესის მე-9 მუხლი არ ამართლებს ამ მიზანს, კერძოდ,

საჯარო მოსმენა იმართება, მოსაზრებებზე კომისიის პასუხების გაცემამდე, რაც არ აძლევს მხარეს საშუალებას საჯარო მესმენამდე ანალიზი გაუკეთოს კომისიის პოზიციას, და შესაბამისად წარმოადგინოს მისი მოსაზრება;
ასევე არ არის კომისიის პასუხების ვადები მითითებულ, და ეს კომისიას საშუალება ეძლება ერთობლივი პასუხი გასცეს წარმოდგენილ მოსაზრებებს, რაც უკარგავს კონკრეტიგას და დროულობას კომისიის პოზიციების გაცნობას;

შესაბამისად მე-9 მუხლის 1 და მე-5 პუნქტები უნდა იქნას დაკორექტირებული, წესის მიზნების და ამოცანების აღსასრულებლად.

ა. პოლიტკოვსკაიას 42, 0186 თბილისი, საქართველო
42 A.Politkovskaia Street, 0186 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 275 75 75, 11 00 00
Tel./Fax: (+995 32) 232 22 55
info@ak.ge www.ak.ge

ამ შენიშვნების გაუთვალისწინების შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ წეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება და იგი არ უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისა და მისი დადებითი შედეგების ასახვას მარეგულირებელი კომისიის საქმიანობაზე.

პატივისცემით

ახალი ქსელების
გენერალური დირექტორი

ილია ინჯია